პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ხუთშაბათი
19
თებერვალი
№ 41
(16471)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ცხოვრება და მეცნიერება

კპკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მოწვევისათვის გამარჯვებულად ცნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და იგი გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოეს.

გამარჯვებისაკენ იოლი გზა არ დევს. მით უფრო, არ ედო იოლი გზა ამ მწვერვალისაკენ საქართველოს. მეცხრე ხუთწლედის პირველ ეტაპებე ჩამოვრჩებოდით ხუთწლედის დავალებების შესრულებაში, სულ უფრო ვცილდებოდით საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. წარმოების ზრდის ტემპი შენელებული იყო, ეკონომიკის განვითარების თვისებრივი მაჩვენებლები გაუარესდა, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტები თავს იჩენდა სამეურნეო შეზნებლობის ხელმძღვანელობაში.

რესპუბლიკას უნდა გადაელახა ყოველივე ამით შექმნილი სიძნელე, მიეღწია წარმოების ტემპის მნიშვნელოვანი ზრდისათვის, საერთო-საკავშიროსაგან ზოგიერთი რესპუბლიკური მაჩვენებლის ჩამორჩენის შემცირებისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ხარისხობრივი ფაქტორების გაუმჯობესებისათვის. და მან ამას მიაღწია. ეს იყო საქართველოს, კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული, ჭეშმარიტად ლენინური სტილით მუშაობის შედეგი. ამაში მას ხელი შეუწყო მძლავრმა სამოქმედო პროგრამამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ეს დიდებული სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო და არის მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციისათვის.

რესპუბლიკაში ბოლო წლებში გაწეულ უდიდეს გარდამქმნელ ღონისძიებათა განხორციელებაში საქართველოს კომუნისტიკურ პარტიას, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად, მხარში ედგა მეცნიერებათა აკადემია, მისი სამეცნიერო დაწესებულებები. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან იყო აღნიშნული ჩვენი აკადემიის დიდი, ნაყოფიერი საქმიანობა წარმოებასთან, ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის განსამტკიცებლად, ის წვლილი, რომელიც მეცნიერებმ შეაქვთ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში, რისთვისაც აკადემია ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოდა, სულ ახლახან გამართულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, მოყვანილი იყო სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო საწარმოებთან მეცნიერთა თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითები.

ფართოდდება აკადემიაში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით პრობლემათა განხილვის პრაქტიკა; შემუშავებულია კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების ძაბერების ეფექტიანი ღონისძიებანი; შექმნილია კომპლექსური ექსპედიცია, რომელიც შეადგენს სვანეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმას და შეისწავლის ამ განვითარების პერსპექტივებს.

შემუშავებულია რესპუბლიკაში მოლეკულური გენეტიკის განვითარების დაჩქარების, სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების გამოყენების წინადადებანი; შეიქმნა მედიცინის პრობლემებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემების განყოფილებები, რაც ხელს შეუწყობს ამ მეცნიერებათა საკვანძო საკითხების გადაწყვეტას, მეცნიერული კადრების ზრდას; შემუშავებულია მსხვილ სამრეწველო და ეკონომიურ ცენტრებში ახალი სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციებისა და ქვეგანყოფების შექმნის რეკომენდაციები.

საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმზე, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მეცნიერულ შრომაშიც დაისახა სამოქმედო პროგრამა. ეს უპირველეს ყოვლისა ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის შემდგომი განმტკიცების პროგრამაა, მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერული შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემაა.

ხომ ცნობილია, რომ ჯერაც დაბალია მეცნიერების ეფექტიანობა, რომ მეცნიერებაზე დახარჯული თანხა ბევრად მეტია, ვიდრე მისი მოსალოდნელი ეკონომიური ეფექტი, რომ მეცნიერება ჩვენში ბევრ დარგებში ჯერ არ გამხდარა ფაქტორი, რომელიც აქტიურ გავლენას მოახდენს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროზე.

დიდი სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ქართველ მეცნიერებს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დაუსახა ჩვენს მეცნიერთა საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების რაც შეიძლება მალე აღმოფხვრის მიზნით.

საბჭოთა მეცნიერების ძალა პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან მისი კავშირია. ეს კი თავის კონკრეტულ გამოხატულებას უნდა პოულობდეს სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირში სახალხო მეურნეობასთან, მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების ხარისხის ამაღლებაში, მეცნიერული კვლევის კოორდინაციაში. მეცნიერები მოწოდებულნი არიან ეზრუნონ თავიანთ მიერვე შექმნილი სიახლეების ფართოდ გამოყენებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ქართველი მეცნიერები, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, უდიდესი მღელვარებით, შთაგონებით და შემოქმედებითი აღმავლობით ეგებებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას, რომელიც სულ მალე შეუდგება მუშაობას.

მეახე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ უნდა გადაჭრას რთული პრობლემები მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებით. ამიტომაც გათვალისწინებულია გამოკვლევათა გაფართოება თეორიულ და გამოყენებით მეცნიერებათა დარგში; შემდგომ განვითარდება კონკრეტულ სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაჭრასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ზუსტად განსაზღვრა ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი და ამოცანები, განსაკუთრებით დღეს, ახალ ეთაერებში. ამ მეცნიერებათა განვითარება იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენმა მეცნიერებმა უნდა იკვლიონ კომუნისტური მშენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ადამიანთა ჩამოყალიბებაზე, მის ყოველმხრივ განვითარებაზე საზოგადოებრივი ურთიერთობის გავლენის პრობლემები, განვითარებული სოციალიზმის პირობებში პროგრესის, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების შეხამების პრობლემები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული საზრუნავია. ისინი მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მეცნიერთა ძალების თავმოყრას შედარებით დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადასაწყვეტად, აქტიურად დაუჭირონ მხარი ნოვატორობას, მიაღწიონ შემოქმედებით ძიებათა ეფექტურ რეალიზაციას. მეცნიერების განვითარება ჩვენი სახელმწიფოებრივი და ეკონომიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

მ. ვ. ლომონოსოვის ოქროს მედლები — გამოჩენილ მეცნიერებს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1975 წლის [illegible] მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლები მიანიჭა აკადემიკოს მ. ვ. კელდიშს მათემატიკის, მექანიკისა და კოსმოსური კვლევის დარგში დიდი მიღწევებისათვის და საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მორის რუას მექანიკისა და მისი გამოყენების დარგში დიდი მიღწევებისათვის.

მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოა და ყოველწლიურად ენიჭებათ (ერთ — საბჭოთა და ერთ — უცხოელ მეცნიერს) ბუნებისმეტყველების დარგში დიდი მიღწევებისათვის.



სკკპ XXV ყრილობის დელეგატი

სკკპ XXV ყრილობის უსასახელოდ

ხუთწლედი თვითთეული ჩვენგანის საქმეა!

ახალი ვალდებულებით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებას თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში სათაყვანო უდგას ელექტროსექციების საამქრო, რომელსაც ე. წოკლური ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა იანვარში გეგმის ზევით 7 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

იანვარში სოციალისტური შეჯიბრების ბეგრმა მონაწილემ დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენა. ამიტომაც იყო, რომ საწარმომ თავის დავალება პირნათლად განაღოდა.

წლეულს გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 150 ათასი მანეთის პროდუქცია, — ასეთია ელექტროვაგონშემკეთებელთა ახალი ვალდებულება.

რ. ჰელიძე.

ზეგეგმითი პროდუქცია

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას. მემაუდეებმა მეათე ხუთწლედის პირველი თვის — იანვრის, საერთო პროდუქციის წარმოების დავალება 103,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 101,2 პროცენტით. გამოშვებულია პირველი ზეგეგმითი პროდუქცია იმ ვალდებულების ანგარიშში, რომელიც 1976 წელს გეგმის გადამეტებით 250 ათასი მანეთის პროდუქციის წარმოებას ითვალისწინებს.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებებით აღფრთოვანებული მემაუდეები ახალი ძალით უტევენ ხარისხს ხუთწლედის ზღუდეებს. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ სანერგ-სართავი და საქსოვი უბნების კოლექტივები, რომელთაც ლ. კაშია და ნ. ჭილაძე ხელმძღვანელობენ.

დ. გედენიძე.

მეტალურგთა ვახტი

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალი შრომითი გამარჯვებები ეგებებიან ქართველი მეტალურგები სკკპ XXV ყრილობას. იანვარში მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა 104,4 პროცენტით გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური დავალება და სამშობლოს მისცა 676 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი. აღებული ტემპი თებერვალშიც გრძელდება.

კვლავ მოწინავეთა რიგებში დგანან მეკოქსეები, მებრძმედეები, მეფოლადეები, მგლინავები და მილმგლინავები. იანვარ-თებერვალში დავალების გადამეტებით წარმოებულია ასობითონა კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა მეტალურგებმა ზედიზედ მერვედ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და შარშან, მეათხუ კვარტალის მაჩვენებლების მიხედვითაც შეინარჩუნეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ზ. მერკვილაძე.

ყველა დავალება — ვადამდე

კავკასიის „ელექტროქსელმშენის“ ტრესტის ახალი ვალდებულებანი

შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ეფექტიკის დღისათვის — 22 დეკემბრისათვის; ავამოქმედოთ დადგენილ ვადებში 822 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და 731,6 მეგავატი ტრანსფორმატორული სიმძლავრენი, ამასთან უპირველესი ყურადღება მივაქციოთ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ობიექტებს; ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება 1975 წელთან შედარებით 1,3 პროცენტით; ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით ვაწარმოოთ სამშენაოები მთელი რიგი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე; საწარმოო და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის გავადიდოთ სამეურნეო-ანგარიშზე გადასული კომპლექსური ბრიგადების რიცხვი; მკვეთრად გავაუმჯობესოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, გამოვრიცხოთ წუნის შემთხვევები; მივაღწიოთ სამშენებლო კონსტრუქციების, მასალებისა და მოწყობილობის დროულ მიწოდებას; ავამაღლოთ მექანიზაციული კოლონების ხელმძღვანელობისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური პროცესების სწორი წარმართვისათვის.

(საქართველოს მოინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ყიზლარის საძოვრებზე გაიგზავნა

ბათუმი. (საკ. კორ.). წინასაყიზლობო შრომითის ვახტზე მდგარმა ბათუმის პურის მიმღებ საწარმოს კოლექტივმა ახალ სამეურნეო წარმატებებს მიაღწია, — 28 იანვრისათვის 106 პროცენტით შეასრულა იანვრის გეგმა. კომბინირებული საკვებით ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მყოფი ცხვრის ძირითადი მომმარაგებელი ბათუმელები არიან. მათ მარტო იანვარში მეცხვარეებს 1.700 ტონა ხაკვები ბიუჯეტზეს.

ბათუმის პურის მიმღებ საწარმოს კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თებერვლის გეგმა სკკპ XXV ყრილობის გასხსენებლად შესასრულოს.

მ. ბოგრბილაძე.

ეს ლექციები სოფლად

მეხილეობამ გადაწყვიტეს

ჯარიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს მეხილეობის შემდგომ განვითარებას. ამას კარგად ითვალისწინებენ გორის რაიონის შავშვების საბჭოთა მეურნეობაში.

ახლა მეურნეობის ყველა უბანსა და ბრიგადაში ენერგიული შრომაა გაჩაღებული, რათა ხეხილის ბაღებში საზამთრო სამუშაოები ყრილობის გახსნის ღირსადგილ — 24 თებერვლისათვის დამთავრონ. როცა ხეხილის ბაღებში მოსავლის აღება დამთავრდა, მაშინვე დაიწყო ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა კარტოგრამების მიხედვით, პირველად განხორციელდა ბაღების დაკვალვა 12 სანტიმეტრის სიღრმით ფესვთა სისტემის დაუზიანებლად, შემდეგ კი ნიადაგი იხვნება სულ მცირე 18 სანტიმეტრის სიღრმით.

იმ ნაკვეთებში, სადაც ბაღი გაშენებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, ნიადაგი იხვნება ჭვარედინად აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. ზამთრის პერიოდში ბაღების დიდ მასივებში ხეხილის ძირები იფხეკება და წვამება მალამო.

წლეულს შავშვებელი მეხილეები პირობას იძლევიან მიიღონ მაღალხარისხოვანი ხილის უხვი მოსავალი.

ო. ხარხელი,
აგრონომი.

მბრძოლიან სიმეჩხრეს

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დამკვრელურ სამუშაოდ გამოცხადდა ვენახების სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა. გასულ შემოდგომაზე დაიწყო და ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვაზის გადაწვენა და გამორგვა.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში უკვე გადაწვენილი და გამორგულია 1.700 ათასი ძირი ვაზი.

ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 179 ათასი ძირი, ვაზი გადაწვინა, 21 ათასი ძირი კი გამორგო, „ქინძმარაულის“ საბჭოთა მეურნეობამ 140 ათასი გადაწვინა და 30 ათასი გამორგო, სოფელ გავაზის კოლმეურნეობამ 120 ათასი ძირი ვაზი გადაწვინა და 50 ათასი ძირი გამორგო.

სამეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლაში მევენახეებთან ერთად თავიანთი წვლილი შეიტანეს მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლე ახალგაზრდობის.

ა. თვალიაშვილი.

პარტიული პრინციპულობით

თენგიზ დოლიძე ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სასაქონლო ნედლეულის საამქროს უფროს ოპერატორად მუშაობს. სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც იგი მეთაურობს, ნავთობბაზის ცენტრალურ სატრანზიტო ტერიტორიაზე იმყოფება. აქ განსაზღვრავენ სად რა რაოდენობის ნავთობი გაგზავნონ, როდის დაიწყონ და დაამთავრონ ამოტუმბვა. აქვე გუღლამით ანალიზებენ სინჯს, რასაც ორი საწარმოს ლაბორატორიები ასრულებენ. ამ დიდმნიშვნელოვან უბანს, სადაც ხარისხის საქარხნო პასპორტი იბადება, კომუნისტი თენგიზ დოლიძე ხელმძღვანელობს.

თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც თ. დოლიძე ქარხანაში მივიდა. 22 წელია იგი სასაქონლო განყოფილებაში მუშაობს.

ახლა თ. დოლიძის ჯგუფი წარმატებით დგას სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, მისი შრომის დევიზია — „ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია!“.

ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთა მან, როგორც საამქროს პარტიული ბიუროს წევრმა. და კედლის გაზეთის რედაქტორმა. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი, როგორც ქარხნის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის ხელმძღვანელის მუშაობა. დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში თ. დოლიძე იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებას, პარტიულ პრინციპულობას.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე თენგიზ დოლიძე კომუნისტთა საკავშირო ფორუმის დელეგატად აირჩიეს.

სურათზე: თ. დოლიძე.

ნ. ანანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

გაგაფხულის შესახვედრად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1976 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მომზადებისა და მოწყობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილება ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, განსაკუთრებულ საგაზაფხულო თესვის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები თვითეულ მეურნეობაში, რაიონში, ოლქში, მხარეს და ავტონომიურ რესპუბლიკაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ოესლისა და მანქანა-ტრაქტორების პარკის მომზადებას, საწვავისა და სასოფლო მასალების მომარაგებას; განახორციელონ ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, შოფერთა, დასაწვმიებელი მანქანების მემანქანეთა საჭირო კადრებით მეურნეობების დაკომპლექტების დამატებითი ღონისძიებები. — რათა ორ ცვლად ამუშაონ მანქანა-ტრაქტორის აგრეგატები, განახორციელონ აგრეთვე მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები. განსაკუთრებით ახალი მარკის მანქანებზე მუშაობისათვის; ფართოდ გაშალონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევისა და მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის.

სოფლის მეურნეობას კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებისათვის დამატებით გამოეყოფა შავი ლითონების ნაგლინი, მილები, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სალტეები.

სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან ტრაქტორების, ავტომობილების, ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი მანქანების, ექსკავატორებისა და მიწასათხრელი ტექნიკის სათადარიგო ნაწილებს, მითითება მიეცათ უზრუნველყონ მათი ეადამდე გაგზავნა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რესპუბლიკებისათვის, მხარეებისა და ოლქებისათვის სათადარიგო ნაწილების თანაბარ მიწოდებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საკასოფლტექნიკას, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მითითება მიეცათ დაუყოვნებლივ განახორციელონ რკინიგზის სადგურებიდან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო და ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ყველა ტვირთის, ბაღიდის დაჩქარების ღონისძიებები, უზრუნველყონ სოფლისა და წყალთა მეურნეობისათვის 1976 წელს გამოყოფილი მატერიალური რესურსების მკაცრი ეკონომია.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან თავიანთ საგებო კონტროლს დაუქვემდებარონ სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების, ავტომობილების, ტრაქტორის მისაბმელების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქების, საწვავისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების წარმოებისა და მიწოდების დავალებათა შესრულება, რათა უზრუნველყონ 1976 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულება.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს მითითება მიეცა დაიწესოს კონტროლი დადგენილებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისადმი.

„პრავდის“ ფურცლებზე

სკკპ XXV ყრილობის იმ დელეგატთა პორტრეტებს შორის, გუშინ გაზეთმა პირველ გვერდზე რომ გამოაქვეყნა, არის თბილისის ხაკვიაცოო ქარხნის ხარატის, კომუნისტური შრომის დამკვრელის ტრიფონ რუსტიაშვილის პორტრეტიც. ტროსტიაშვილი ყრილობისწინა შეჯიბრების მოწინავეთა რიგშია და ყოველ დღეს საასახელო საქმეებით აღნიშნავს.

„არაშავმიწანიადაგიანი ზონის მექანიზატორები“ — ასეა დასათაურებული გაზეთის მოწინავე წერილი.

სკკპ ჩიტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. მიტროფანოვი გაზეთის მეორე გვერდზე მკითხველს ესაუბრება კომუნისტთა დიდ საზრუნავზე — მეათე ხუთწლედის მყარი ხაფუძვლის შექმნაზე. წერილის დედაზრია თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლება.

თუ როგორ მოიპოვეს უკრაინელმა სამთოელებმა ხუთწლედის მანძილზე მილიარდ ტონაზე მეტი ქვანახშირი, მკითხველი ამას შეიტყობს მეორე გვერდზევე გამოქვეყნებული წერილიდან, რომლის სათაურია „მეშახტეთა ჰორიზონტები“.

1975 წლის 19 ოქტომბერს „პრავდამ“ გამოაქვეყნა ფელეტონი „ჩაჩიანი მანდილოსანი“. მასში ლაპარაკი იყო მოსახლეობის ცუდ მომსახურებაზე. გაზეთს ამ კრიტიკული გამოსვლის გამო უპასუხებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. გეკეძე. როგორც ისინი რედაქციას ატყობინებენ, კრიტიკა სწორია. განთავისუფლებული არიან ის მძღოლები, რომლებსაც უბილეთო მგზავრები გადაუყვანთ. საქართველოს ავტოტრანსპორტის სამინისტროს № 3 ავტოტრესტის მმართველის მოადგილეს რ. დოლაბერიძეს გამოეცხადა სახტიკი საყვედური, ხოლო ამ ტრესტის სახაზო კონტროლის განყოფილების უფროსი ტ. ველაშვილი და წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ექსპლოატაციის უფროსი ტ. ხანგელაძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

გაზეთი კვლავ განაგრძობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვის საერთო ანშლაგით — „მეათე ხუთწლედის ზღუდეები“, „სოციალური პროგრამა მოქმედებაში“; „სელექციონერთა მნიშვნელოვანი ამოცანა“; „რიგორია მუშაობის შეფასების კრიტერიუმები“; „ინდუსტრია — ჩვენი ძვეყნის მეცხოველეობას“ — ეი ამ გვერდის ძირითადი თემები.

რუბრიკით „მოკლედ“ აქვეა დაბეჭდილი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის ვ. ჩაჩანიძის წინადადება. იგი წერს ხმაურის პრობლემის აქტუალობაზე და საჭიროდ მიიჩნევს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის მეშვიდე თავში ჩაიწეროს ასეთი პუნქტი: „უოველმხრივ განავითაროთ კვლევა ხმაურის წარმოშობისა და თავიდან აცილების პრობლემათა შესასწავლად“.

„დაძაბულობის შენელება და საზოგადოებრიობა“ — ასეა დასათაურებული მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ვ. შაპოშნიკოვის წერილი, რომელიც გაზეთის მეექვსე გვერდზეა გამოქვეყნებული.

მეხუთე გვერდი ჩვეულებრივ მთლიანად საერთაშორისო ცხოვრებას ეძღვნება.

ბევრ საინტერესო მასალას წაიკითხავს მკითხველი გაზეთის მეექვსე გვერდზე. ინფორმაცია, რომელსაც ჰქვია „ციანტეტელა კონვეიერზე“ გვაცნობინებს, რომ დნეპროპეტროვსკის რადიოარხანაში აითვისეს ახალი ფერადი სატელევიზიო მიმღების „ვესნა-710“-ის გამოშვება.

ჩვენს დიად საქმეზე

ახალი ამგვები

□ ტირასპოლი (მოლდავეთის სსრ). სამსხმელო მანქანების ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის სიმონ კუკოლს ერთდროულად გადასცეს ორი ჯილდო — სამკერდე ნიშანი „1975 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული“ და „მოლდავეთის სსრ კულტურის წარჩინებულ მუშაკი“. ოცი წელია ს. კუკოლი მუშაობს ამ საწარმოში და ამდენივე ხანია მონაწილეობს მხატვრულ თვითმოქმედებაში, რისთვისაც მიღებული აქვს 29 საპატიო სიგელი და დიპლომი.

□ აშხაბადი. მეათასედ გაისმა კოლმეურნეობა „სოვეტ ტურკმენისტანის“ რადიოკვანძის სახმობი ნიშანი. საიუბილეო გადაცემა მიეძღვნა რესპუბლიკის საუკეთესო მებოსტნეობის მეურნეობის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს. და სრულიად საკავშირო ალკკ სამახსოვრო ნიშნით — „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“ — დაჯილდოებულებს. კოლმეურნეობის რადიოკვანძი უკვე ათი წელია მუშაობს. მიკროფონთან რეგულარულად გამოდიან სოფლის წარჩინებული ადამიანები, აგრეთვე სტუმრები — ლექტორები, პოლიტიკური მამამძღოლეველები. იურისტები, მედიკოსები.

□ ორჯონიკიძე. ოსურ სოფელში, რომელსაც სიმბოლური სახელი ნოგირი (ახალი ოსეთი) ჰქვია, დასახულ ვადაზე ორი წლით ადრე მთლიანად დამთავრდა გაზიფიკაცია. გაზიფიკაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რესპუბლიკის სხვა სოფლებშიც. გაზმურების ფურნაკებში „გამომცხვარი ოსური ხაჭაპურებით ხვდებიან დიასახლისები სტუმრებს მთის სოფლებში დარგვასა და ზემო სანიბაში, კაბარდინოს და ძველ ბატაკოურტში და სხვ.

□ ბრესტი. ოცი წელი შეუსრულდა მემორიალური კომპლექსს „ბრესტის გმირი ციხე-სიმაგრის“ მუზეუმს. ამ წლებში მუზეუმი, რომელიც პატრიოტული აღზრდის ჩინებული სკოლა გახდა, დაათვალიერა რვა მილიონზე მეტმა კაცმა. მათ შორის არიან მსოფლიოს 110 ქვეყნის წარმომადგენლები.

□ ნოვოსიბირსკი. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე საგზურები მიიღო ტრესტ „სიბსტროის მეხანიზაციის“ ტექნიკური სკოლის კურსდამთავრებულთა დიდმა ჯგუფმა. მათ შორის არიან ექსკავატორების მემანქანეები, ავტომფლეების მძღოლები და ელექტროშემდუღებლები, შოფრები, სხვა პროფესიათა სპეციალისტები. ათასზე მეტი კურსდამთავრებული სამუშაო ბიოგრაფიას დაიწყებს ბაიკალ-ამურის მაგისტრალსა და ურალის აღმოსავლეთის სხვა მშენებლობებზე.

□ მარი (თურქმენეთის სსრ). საადრეო ბოსტნეულის თესვა დაიწყო სამხრეთ თურქმენეთში. მურღაბის ველზე დიდი ხანია გაზაფხულის ობილი ამინდი დგას. ტექნიკა ბოსტნებში პირველად გამოიყენეს ყალინინის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეებმა.

□ ოდესა. ილიჩევსკისა და ოდესის ნავსადგურების ავტორიას ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანება არ ემუქრება. ზედაპირს საამედოდ იცავს მცურავი ბონის ღობური „ანაკონდა“, რომელიც შავი ზღვის ცენტრალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტებმა შექმნეს. „ანაკონდის“ მოქნილი სინთეზური გარსი შედგება ჰაერით ავსებული კამერებისაგან.

(საკადესი).

ყრილობიდან — ყრილობამდე

მინსკი. 17 თებერვალი. (საკადესის კორ. ე. ბონდარენკო). ბელორუსის სწრაფი სოციალურ-ეკონომიური განვითარების მატიანე გახდა რესპუბლიკური ფოტოგამოფენა „ყრილობიდან — ყრილობამდე“, რომელიც დღეს ოფიცერთა საოლქო სახლში გაიხსნა.

ექსპოზიცია სამასზე მეტ სურათს შეიცავს. მასში ცენტრალური ადგილი უკავია შეჯიბრების მოწინავეების — სკკპ XXV ყრილობის დელეგატების გალერეას. დელეგატებს შორის არიან მრთველი ვ. პ. ბუღოვა, მემრუდთარგე ზეინკალი ე. ი. კლიმჩენკო, ტელევიზორის მომწყსრიგებელი მ. მ. ბეღუნკევიჩი, კალატოზი მ. კ. ერიომენკო, ტრაქტორისტი ა. მ. მოკატი, მეჭორე ე. ე. ვერგეიჩიკი.

„ციანტეტელა სათბობის“ მიწოსქვეშა საცავები

ლვოვი. (საკადესის კორ. ვ. ფანასიევი). ევროპარკატეთში იქმნება მესამე დიდი მიწისქვეშა გასხ	ავი. 17 თებერვალს ყოფილი ოპორის გაზის საბადოს ადგილას დაიწყო მძლავრი კომბინირებული სადგურის საკირხნი ჭაბურღღვლების გაყვანა. რამდენიმე წლის წინათ მან მთლიანად მისცა მარაგი ადამიანებს და ახლა „ციანტეტელა სათბობი“ აქ მოვა მილსადენ

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲗᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲐᲕᲐᲛᲐᲚᲚᲝᲗ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ

ᲡᲙᲙᲙ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში — მეათე ხუთწლედი დახასიათებულია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, აგრეთვე სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

დროის სწორედ ასეთ მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა მეათე ხუთწლედის ამოცანა. და იგი, როგორც ხაზგასმითაა აღნიშნული პროექტში, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრულ განხორციელებაში გამოიხატება.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო გაფართოვდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, ამის გამო, მნიშვნელოვნად გაიზრდება მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხუთწლედში 28-30 პროცენტით გადიდდება მოსახლეობისათვის დახმარებების და შეღავათების გაცემა ამგვარი ფონდების ხარჯზე.

მართალია, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ასეთი ზრდა საგრძნობლად შეამცირებს ცხოვრების დონეთა სხვაობას, ერთი მხრივ, კვალიფიციურ და ნაკლებად კვალიფიციურ მუშაკთა შორის, მეორე მხრივ, სხვადასხვა მატერიალური შესაძლებლობის მქონე ოჯახთა, კერძოდ, წვრილშვილიან და უშვილო ოჯახებს შორის, მაგრამ ჩვენი აზრით, საჭიროა ამაღლდეს ამ ფონდების გამოყენების მასტიმულირებელი როლი. სხვანაირად, რომ ვთქვათ, მათი განაწილება-გამოყენება ერთგვარად უნდა ადასტურებდეს ადამიანთა შრომის რაოდენობასა და ხარისხს.

ამგვარი ფონდების გამოყენების კანონზომიერებანი უნდა განსაზღვრავდეს აგრეთვე მოსახლეობის გამრავლების ტემპებს. იქნებ დროა, შემოვიღოთ შობადობის ზრდის ისეთი მასტიმულირებელი წესი, რომელიც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს მოსახლეობის კვლავწარმოების ოპტიმალურ დონეს, კერძოდ, სამ და ოთხშვილიანი ოჯახების უპირატესობას.

დემოგრაფიული განვითარებას მიმართულება კიდევ უფრო დაეჯითებით მოითხოვს შობადობის დარგში წამახალისებელი ღონისძიებების დიფერენცირებას. მეათე ხუთწლედის ეკონომიკურმა წარმატებებმა უნდა გაადიდოს დემოგრაფიულ პროცესებზე ჩვენი საზოგადოების მიზანმიმართული ზემოქმედების შესაძლებლობანი და ისეთი პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედება მოსახლეობის კვლავწარმოების ოპტიმალური რეჟიმის შემუშავებას.

პროექტში ნათქვამია, რომ მეურნეობათა გაძღოლისა და ეკონომიური სტიმულირების მეთოდებთან ერთად სრულყოფას საჭიროებს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შუშაობის შეფასების კრიტერიუმების სისტემა.

მართლაც, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუთრნეო საქმიანობის შეფასების ახლანდელი მეთოდი, როცა ყველაფერი რეალიზებული პროდუქციის მოცულობით ან საერთო პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლებით (შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება და ა. შ.) ფასდება ობიექტური რეალობისაგან საკმაოდ შორსაა.

როგორც ცნობილია, რეალიზებული და საერთო პროდუქციის მასალაში საბითმო ფასებს ვიყენებთ, მისი მასშტაბი დამოკიდებულია გეგმაორ თვითღირებულებასა და მოგებაზე. თვითღირებულება თავის მხრივ, წარსულში დახარჯული შრომის, კერძოდ, გამოყენებული ძირითადი ფონდებისა და მოხმარებული საბრუნავი საშუალებების ღირებულებასაც შეიცავს.

ამის გამო ცალკეულ საწარმოთა საქმიანობის შეფასება ვერ ასახავს რეალურ სურათს. ამ ე. წ. მოხმარებული წარმოების საშუალებების ღირებულებათა წილი, რომელიც მოცემული საწარმოს კოლექტივის საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული, მეტისმეტად მაღალია.

როგორც პროექტშია მითითებული, უნდა სრულვყოთ სამეურნეო საქმიანობის შეფასებათა სისტემა. ეფექტრობთ, ამგვარ კრიტერიუმებად მივიღოთ მრეწველობაში წმინდა პროდუქციი. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობებში კი — საერთო შემოსავალი. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთი დოვლათის შექმნასთან, რომელშიც განხორციელებულია მხოლოდ ახლად დახარჯული შრომა. ეს კი უკეთ დაახასიათებს შესაბამის პერიოდში მოცემული კოლექტივის საქმიანობის შედეგებს, მის ავ-კარგს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ შემდეგიც: როგორც ცნობილია, სამეურნეო რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესაბამისად, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება, ნორმიო თვითღირებულების შემცირების გეგმა აღარ წარმოადგენს სადირექტივო მაჩვენებელს. ამან კი, როგორც ჯერ კიდევ სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, დადებითად ეერ იმოქმედა წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გადიდეს ეკონომიკურ ბერკეტად ფასი, ეს ეხება ეროვნულ ეკონომიკის ყველა სფეროს, ეს ეხება ეროვნული შემოსავლის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გადიდეს ეკონომიკურ ბერკეტად ფასი, ეს ეხება ეროვნული

მსოფლიოს საგზე

18 თებერვალი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკვანძო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

საკვანძო ფაქტი კონტინენტიდან

იტალია

● **რომი.** ეკონომიურ დაქვეითებას იტალიაში მოჰყვა წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება მრეწველობის საკვანძო დარგებში. იტალიის მეტალურგიული მრეწველობის ასოციაციის მონაცემებით, თუკინისა და ფოლადის გამოდნობა ქვეყანაში მიმდინარე წლის იანვრიდან გასული წლის ამავე თვესთან შედარებით 16 პროცენტით შემცირდა.

ნავლინის წარმოების მოცულობა, აღნიშნულია ასოციაციის ცნობაში, 1975 წლის დეკემბერში 1974 წლის დეკემბერთან შედარებით 6 პროცენტით და მეტად შემცირდა.

ამერიკა

● **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი გაემგზავრა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც 9 დღეს დაჰყოფს. მოგზაურობის დროს ჰ. კისინჯერი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ვენესუელას, ბრაზილიას, პერუს, კოლუმბიასა და კოსტა-რიკას, სადაც გამართავს მოლაპარაკებას ამ ქვეყნების ხელმძღვანელებთან.

იორდანია

● **ამანი.** 1967 წლის აგვისტის დროს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ისრაელმა უკვე შექმნა 41 გასამხედროებული დასახლება, მათ შორის 19 გოლანის მაღლობებზე, 14 მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და 8 ღაზისა და რაფაქის სექტორში. 10 დასახლება მშენებლობის სტადიაშია.

ეს აღნიშნულია მოხსენებაში, რომელიც იორდანიის ოკუპირებული ტერიტორიების საქმეთა სამმართველომ გაუგზავნა იორდანიის მთავრობის მეთაურს.

ტანზანია

● **დარ-ეს-სალამი.** ტანზანიის ეკონომიკაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს ჩაი. იგი უკვე გახდა ქვეყნის ექსპორტის განუყოფელი ნაწილი. როგორც ტანზანიის ჩაის საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, შარშან საზღვარგარეთ მისი გაყიდვისაგან სახელმწიფო შემოსავალმა შეადგინა 120 მილიონი ტანზანიური შილინგი უცხოეთის ვალუტით.

რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად

ა. კუნიალის გაინცხადება

პრაღა, (საკდისი). ახალი დემოკრატიული პირუთვნელობისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის განვითარება ჩვენი რევოლუციის შემდგომი გაღრმავების საკითხველია, განაცხადა აქ გამარჯვებულ პრაკონფერენციაზე პირველობის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა.

პორტუგალიის კომუნისტური პარტია, ხაზი გაუსვა მან, კეთილგანცდაცავს რევოლუციის მონაპოვრებს, თავისუფლებასა და დემოკრატიის ქვეყანაში, იბრძოლებს, რომ გზა გადაულობოს ფაშიზმს. ჩვენს ქვეყანაში მუშათა, დემოკრატიული მოძრაობა ყველაზე მძლავრი ძალაა. სწორედ ამიტომ რეაქცია კომუნისტურ პარტიას, აგრეთვე პროფკავშირებს, განსაკუთრებით პორტუგალიელ მშრომელთა ერთიან პროფცენტრს (ინტერსინდიკალს) გაუფთრებით ეზიზღის თავს, თქვა ა. კუნიალმა.

რეაქციის შეტევა საკმაოდ ძლიერია, მაგრამ კომუნისტები დარწმუნებული არიან, რომ პორტუგალიამი თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვა შესაძლებელია, აღნიშნა მან. ჩვენ ვერ შეეურიგდებით ფაშიზმის დაბრუნებას პორტუგალიაში!

ა. კუნიალმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია მომავალ არჩევნებს ხვდება ქვეყანაში რევოლუციური, პროგრესული გარდაქმნების გაღრმავების პროგრამით. არჩევნებმა, თქვა მან, შეიძლება პოზიტიური როლი შეასრულოს დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციის საქმეში, ხელი შეუშალოს რეაქციას ახალი დიქტატურის დამყარებაში.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ მაოისტთა ჯგუფები პორტუგალიაში მოქმედებენ როგორც რევოლუციის მტრები და ემსახურებიან რეაქციის ძალებს.

პორტუგალიის ყოფილ კოლონიებში, განსაკუთრებით ანგოლაში, თქვა ა. კუნიალმა, მაოისტები იმპერიალისტ ინტერვენტებთან და რასისტებთან ერთად იღამეტრებენ ანგოლელი ხალხის წინააღმდეგ. კომპარტია ვიმაზს მაოისტებს და ხაზს უსვამს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ანგოლელი ხალხის ბრძოლას, რომელსაც ხელმძღვანელობს ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ვენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პორტუგალიის კომპარტიის დელეგაციის ვიზიტი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, მისი მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან ახალი წვლილი იქნება ორი პარტიის ძმური ურთიერთობის განვითარებაში. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დემოკრატიული პორტუგალიისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცებაში.

ვითარება ნიგერიაში

ლაგოსი. (საკდისი). ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში და ქვეყნის სხვა ქალაქებში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა ხელისუფალთა მოქმედების მხარდასაჭერად, რომლებმაც აღკვეთეს სახელმწიფო გადატრიალების ცდა. ნიგერიის საზღვაოდებრივი პატაკის სცემს შეთქმულთა ხელით დალუპულ სახელმწიფოს მეთაურის მურთალა მუჰამედის ხსოვნას, ამასთან აღნიშნავს, რომ მისი მთავრობის დროს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს პირველად მიენიჭა ანტიიმპერიალისტური მიმართულება.

იბადანში გამართული დემონსტრაციის მონაწილეებმა ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს ლოზუნგებით, რომლებიც გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას აფრიკაში. „ჩვენ არ გვეშინდება ნიგერიაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა“ ეწერა ბევრ ტრანსპარანტზე.

ნიგერიის უმაღლესი სამხედრო საბჭოს სახელმწ ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოდის მრავალი დეპეშა, რომლებშიც ქმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა ოლუსეგუნ ობასანჯომ დაადასტურა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის უცვლელობა. დეპეშები შეიცავენ მოწოდებას, რომ მთავრობამ განაგრძოს მურთალა მუჰამედის ინტიმპერიალისტური კურსი.

ცხოვრება ნიგერიაში ნორმალურ კალაპოტში დგება.

ლაგოსის რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს ხელისუფალთა მმართველი მოსახლეობისადმი.

ნიუ-იორკი. (საკდისი). „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ნიგერიაში მარცხით დამთავრებული სამხედრო ამბოხების ხელმძღვანელი პოდპოლკოვნიკი დიმკა ნიგერიის სახელმწიფოს მეთაურის მურთალა მუჰამედის მოკვლამდე ნახევარი საათით ადრე დასავლეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს ელჩის რეზიდენციიდან ცდილობდა ტელეფონით დაკავშირებოდა იაკუბუ გოვონს. გენერალი გოვონი, რომელიც 1975 წლის იანვარში ნიგერიის ფედერალური მთავრობის მეთაურის პოსტიდან გადაეყენეს, ამჟამად ინგლისში ცხოვრობს.

ნაცადი იარაღი

კაირო. (საკდისი). კომენტარს უძღვნის რა უურნალ „ათ-თალიას“ თებერვლის ნომერში ზნლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, მიმიმხილველი ელი ხაიდ პაიალი აკრიტიკებს იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ ახლო აღმოსავლეთის კრიზისი მოწესრიგდება მხოლოდ ამერიკის ზეერთგული შტატების ღონისძიებებით, რომ სწორედ „მის ხელშია ახლო აღმოსავლეთის თამაშის ყველა კოზირი“. საკითხის ასე დაყენება მიმომხილველს საერთოდ არამარლმოწმიერად მიაჩნია, აღნიშნავს, რა, რომ ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა არის არა თამაში, არამედ მძიმე ომი, რომელმაც დიდძალი მსხვერპლი მოითხოვა არაბებისაგან.

ჰაიალის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები არ ხმარობს ღონისძიებებს იმისათვის, რომ კრიზისი მოწესრიგდეს, არაბთა ინტერესების გათვალისწინებით, და არ შეუცვლია თავისი პოზიცია ისრაელის მიმართ.

ავტორი დაასკვნის, რომ კისინჯერის მიერ შემუშავებულმა ეტაპობრივი მოწესრიგების პოლიტიკამ, რომელიც ორ წელიწადზე მეტი ხანია ხორციელდება, არაბებს წაართვა მათი მთავარი უპირატესობანი. ჯერ ერთი, შეიქმნა ნავთობის მომხმარებელი ქვეყნების ორგანიზაცია და ამ ქვეყნებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ისრაელს, უზრუნველყუეს თავისთვის საკმაო მარაგი, ასე რომ ისინი არ განიცდიან არაბთა ნავთობის იარაღის ზემოქმედებას არაბეთ-ისრაელის ახალი ომის შემთხვევაში.

განიხილავენ წინადადებებს

„საერთო ბაზრის“ წარმომადგენელთა სხდომა

ბრიუსელი. (საკდისი). აქ გაიმართა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მუდმივ წარმომადგენელთა სხდომა ელჩების დონეზე. იგი მიეძღვნა „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებთან შეთანხმების დადების შესახებ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წინადადებათა შესწავლას.

როგორც უკვე ეცნობოდათ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ვაისი ლუქსემბურგში ეწვია ევროპის გაერთიანებათა საბჭოს თავმჯდომარეს, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს გ. ტორნს და გადასცა მას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წერილი ევროპის ეკონომიური გაერთიანებისადმი. წერილი შეიცავს წინადადებას, რომ დაიდოს შეთანხმება, ერთი მხრივ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და მეს წევრ ქვეყნებს და, მეორე მხრივ, ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასა და მის წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების ურთიერთობის საფუძვლების შესახებ. წერილთან ერთად მან გადასცა ზემოაღნიშნული შეთანხმების პროექტი.

ბოლო

ლაგოსი. (საკდისი). ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში და ქვეყნის სხვა ქალაქებში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა ხელისუფალთა მოქმედების მხარდასაჭერად, რომლებმაც აღკვეთეს სახელმწიფო გადატრიალების ცდა. ნიგერიის საზღვაოდებრივი პატაკის სცემს შეთქმულთა ხელით დალუპულ სახელმწიფოს მეთაურის მურთალა მუჰამედის ხსოვნას, ამასთან აღნიშნავს, რომ მისი მთავრობის დროს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს პირველად მიენიჭა ანტიიმპერიალისტური მიმართულება.

იბადანში გამართული დემონსტრაციის მონაწილეებმა ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს ლოზუნგებით, რომლებიც გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას აფრიკაში. „ჩვენ არ გვშორდება ნიგერიაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები“ ეწერა ბევრ ტრანსპარანტზე.

ნიგერიის უმაღლესი სამხედრო საბჭოს სახელმწ ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოდის მრავალი დეპეშა, რომლებშიც ქმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა ოლუსეგუნ ობასანჯომ დაადასტურა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის უცვლელობა. დეპეშები შეიცავენ მოწოდებას, რომ მთავრობამ განაგრძოს მურთალა მუჰამედის ინტიმპერიალისტური კურსი.

ცხოვრება ნიგერიაში ნორმალურ კალაპოტში დგება.

ლაგოსის რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს ხელისუფალთა მმართველი მოსახლეობისადმი.

ნიუ-იორკი. (საკდისი). „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ნიგერიაში მარცხით დამთავრებული სამხედრო ამბოხების ხელმძღვანელი პოდპოლკოვნიკი დიმკა ნიგერიის სახელმწიფოს მეთაურის მურთალა მუჰამედის მოკვლამდე ნახევარი საათით ადრე დასავლეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს ელჩის რეზიდენციიდან ცდილობდა ტელეფონით დაკავშირებოდა იაკუბუ გოვონს. გენერალი გოვონი, რომელიც 1975 წლის იანვარში ნიგერიის ფედერალური მთავრობის მეთაურის პოსტიდან გადააყენეს, ამჟამად ინგლისში ცხოვრობს.

... ქალაქსა ... ღელეა ...

გმირების ... დღე

ამბავი დედისა, რომელმაც სამი შვილი დაკარგა ომში

ეს ... ...

გულთბილი შეხვედრები

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა დღეები აფხაზეთში

ამ დღეებში საქართველოს ხელოვნების მუშაკებს გულთბილი შეხვედრები აქვთ აფხაზეთის მშრომელებთან. მეხგედრები სკკ XXV ყრილობას მიეძღვნა.

ჯერ სოხუმს ეწვივნენ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტები კ. მახარაძე, ვ. ნინუა, ი. ტრიმოლსკი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები თ. არჩვაძე, ლ. ცხვარაშვილი, ზ. ლაფერაძე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი შ. გაბელია და სხვ.

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თბილისელ სტუმრებს მიესალმა ფფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ა. არგუნი, მასპინძლებს სიპასუხო სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ჯ. მახარაძემ.

მაყურებელმა ნახა სპექტაკლი— ა. ჩხაიძის — „როცა ქალაქს სძინავს“.

შემდეგ აფხაზეთში ჩამოვიდნენ საქართველოს კინემატოგრაფისტები სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები დ. წეროძე, ი. ხვიჩია, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. წულუკიძე, კინორეჟისორები ნ. შეყლიძე, გ. მგელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. ბეჭვაია, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორი ი. ფოცირიძე და სხვ.

სსსრგებელო, საინტერესო შეხვედრა თბილისელ კინემატოგრაფისტებთან ჩატარდა კინოთეატრ „აფსნაში“. თბილისელ სტუმრებს მიესალმნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ტანია, სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დასის მსახიობი ს. აგუმა, გემთშემკეთებელი სახელოსნოს შუშა ს. კორტნი და სხვები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე და მაყურებლებს უჩვენა თავისი ახალი ფილმი „გაქცევა გახთიადისას“.

აფხაზეთის მშრომელებს მოწონათ სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ასათიანის დოკუმენტური ფილმი „ნაბიჯები მეცხრისა“ და გ. თვლაძის ახალი კინოსურათი „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა დღეების მოხაწილეებს შეხვედრა ჰქონდათ ქარხანა „სოხუმელსაწყოს“ მშრომელებთან.

ქართული კინოხელოვნების მუშაკებმა იმოგზაურეს გუდაუთის რაიონში, სადაც კინოთეატრ „კიარაზში“ შეხვდნენ მაყურებლებს, დასასრულ ხარეენები იქნა ახალი ქართული კინოკომედია „პირველი ძერცხალი“ (რეჟისორი ნანა მკედლიძე). შეხვდნენ სოფელ ლეონიფაძის დღეგრძელ კოლმეურნეებს.

ქართველი კინემატოგრაფისტები გულთბილად მიიღეს გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „ესტონეთის“ მშრომელებმა.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა შეხვედრები აფხაზეთის მშრომელებთან გრძელდება. სოხუმს ეწვივნენ ცნობილი ქართველი კომპოზიტორები და მუსიკოსები. მათ შორის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. მაძისაშვილი, კომპოზიტორები ა. ბალანჩივაძე, შ. მილორავა, ო. თევდორაძე, ა. რაქვიაშვილი, მუსიკათმცოდნე ა. ხუციშვილი, ძომღერლები ც. ტატიშვილი, ნ. ანდღულაძე, პიანისტი ა. ნიკურაძე, კონცერტმაისტერი ტ. ლუნენკო, კომპოზიტორი და მომღერალი ნუნუ გაბუნია, საესტრადო მომღერალი ე. კაკულია და სხვები, აგრეთვე საქართველოს სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები.

ი. გოგბერიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.





ტექნიკის სიახლენი

ბაკოვის ოლქი. ბალაკლეის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ცემენტის კომბინატის კოლექტივმა ვადაზე ადრე გაანადგა მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

წლეულს კომბინატის კოლექტივი დადგა სკკპ XXV ყრილობის ალსანიშნავ შრომითს ვახტზე და ვალდებულება იკისრა ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის ზევით გამოუშვას 20 ათასი შიფერის ფილა და ათასი ტონა ცემენტი.

სურათზე: კომბინატის კარიერზე მუშაობს ხაროტორო ექსკავატორი ერ-1250-17/1,5, რომლის მწარმოებლობა საათში 1250 კუბურ მეტრს უდრის.

— მ. ტარის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ბარბიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დასახულია საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის შემდგომი აღმავლობა, განსაკუთრებით — ჩვენი ქვეყნის შორეულ, ძნელადმისადგომ რაიონებში.

ერთ-ერთი ასეთი რაიონია ტიუმენის ოლქის ჩრდილოეთი. ტაიგის, ტუნდრის უზარმაზარი სივრცეების ათვისება თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების დახმარებით ხდება. საჰაერო ტექნიკის დახმარებით აქ აღმოჩენილია ნავთობის, ბუნებრივი გაზის მდიდარი მარაგი.

წლეულს ტიუმენის ტრასაზე მუშაობა დაიწყო ახალმა სატვირთო თვითმფრინავმა „ილ-76“-მა. მას სასწრაფო ტვირთი გადაქვს მენავთობეებისათვის, მბურღავებისათვის, მშენებლებისათვის.

სურათზე: „ილ-76“-ზე ტვირთავენ ავტობუს „იკაროსს“.

— ი. აპოლონიბოვის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ქლერს იტალიური მუსიკა

ჩვენს საკონცერტო დარბაზებში

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისელ მუსიკისმოყვარეთა სამუალება მიეცათ გასცნობოდნენ თანამედროვე იტალიელ კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ჩვენი ფილარმონიის ხოლისტებმა კონცერტის პირველ ჯერზე განფიფილებაში შეასრულეს ჯაკომო მანზონის, ბრუნო მადერნას, სილვანო ბუსოტისა და სალვატორე სკიარინოს კამერული ნაწარმოებები. აღნიშნული კომპოზიტორები, გარდა ს. სკიარინოსა, რომელიც ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა, შემოქმედებით ასპარეზზე ომის შემდგომ წლებში გამოვიდნენ. მათ ხელოვნებაში აშკარად იგრძნობა თანამედროვე მუსიკალური ავანგარდიზმის ისეთი მიმართულებების გავლენა, როგორიც არის სუფალიზმი, სონორისტიკა, ალეატორიკა და ა. შ. შესრულებულმა ნაწარმოებებმა ცხადყვეს თუ რა შორს არის ამგვარი ხელოვნება ჰუმანისტური იდეალის გამოხატვისგან და რაოდენ მიუწვდომელია იგი ფართო მსმენელისათვის.

მეორე განყოფილებაში შესრულებული ჩქნა ლუიჯი ნონოს გრანდიოზული მუსიკალური ტილო — მუსიკა სოპრანოსათვის, ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის მაგნიტოფირზე ჩანაწერთან ერთად. ნაწარმოები შესასრულეს საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯანსუღ კახიძე) და ფილარმონიის სოლისტებმა მ. თომაძემ და ნ. ხუბუტიამ.

გამოჩენილ კომპოზიტორს ლ. ნონოს თანამედროვე იტალიურ მუსიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კომუნისტი-ხელოვანი, მშვიდობის განმტკიცებისათვის აქტიური მებრძოლი ლ. ნონო იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია. თავის შემოქმედებაში იგი თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს მიმართავს, გამოთქვამს პროტესტს იმპერიალისტური ჩაგვრისა და აგრესიის მიმართ.

კონცერტზე შესრულებული ნაწარმოები, რომელიც ჩიელელ პატრიოტებს ეძღვნება, სწორედ ამგვარი ნაციონალია. მისმა აკუერებამ მსმენელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რამიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს მუსიკოსებსაც, რომლებმაც შესძლეს ამ ურთულესი პარტიტურის ოსტატური ამტკიცება. მსმენელები გულთბილად მიეგებნენ ალაბამზე დამწერ კომპოზიტორს ლუიჯი ნონოს, რომელმაც საუბარში დიდი კმაყოფილება გამოთქვა თბილისში მისი ნაწარმოების შესრულებისა და ქართული მუსიკოსების მაღალი პროფესიონალიზმის გამო.

ს. ცინცაძე,
მუსიკისმცოდნე.

შემთხვევა

ვლინარეს გამოსტაცეს

ბითურა. (საკ. კორ.). სადგურ სალიეთთან მდინარე ყვირილაზე გამბულ ბოხლის ხიდზე ექცინ მგზავრი მიდიოდა. შუა მდინარის თავზე მისვლისას ბაგირის ერთი ბოლო მოწყდა, ბოხლი გადაბრუნდა და მგზავრები აქაფებულ წყალში ჩაეცვივდნენ. ისინი ადიდებულმა მდინარემ გიტაცა. მათ შორის ორი ბავშვი იყო. ამ უბედურ შემთხვევას ბედად დაესწრნენ ბიაფოკელი მძღოლი გ. კაპანაძე და რკინიგზელი ი. ღვალაძე. ყინვამ და აზვირთებულმა მდინარემ ვერ შეაშინა მამაცი ახალგაზრდები და სტიქიის შეებნენ. საკუთარი სიცოცხლის დაუზოგავად ექვსივე გადაარჩინეს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. გ. ს. კლიმიაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ი. ს. კალანდაძე გათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სპორტის ამბები

□ **კალათბურთი.** სვერდლოვსკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი მატჩები. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამო“ დამარცხდა კიევის „სტროიტელთან“ — 77:89 (34:44). გათამაშების ლიდერმა ცსკა-მ მოუგო მასპინძლებს — ადგილობრივ „ურალმაშს“ 117:87 (68:35), ხოლო რიგის სკა-მ — ტარტუს „კალევს“ — 93:60 (47:28). ხვალ ლენინგრადში ასპარეზობას განაგრძობენ დანარჩენი გუნდები — ლენინგრადის „სპარტაკი“, მოსკოვის „დინამო“, კაუნასის „ჟალგირისი“, ვილნიუსის „სტატბა“, მინსკის რტი და ერევნის სკიფი.

□ **ხელბურთი.** ზაპოროჟიეს სპორტის სასახლე „იუნოსტში“ განახლდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩები. პირველ დღეს ცსკა-მ დამარცხა ლვოვის სკა — 28:23 (15:12), კრასნოდარის „უნივერსიტეტმა“ — კიევის სკა — 26:22 (14:12), ადგილობრივმა ზასმა — მინსკის სკა — 25:23 (13:13), ხოლო მეორე მასპინძელი — ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა მაი-სთან — 30:22 (12:18), თბილისის „ბურევესტნიკი“ — მოსკოვის „კუნცევოსთან“ — 18:25 (9:13).

დონის როსტოვში მთავრდება ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. ლიდერმა — კიევის „სპარტაკმა“ ბოლოსწინა მატჩში კვლავ გაიმარჯვა — ანგარიშით 22:14 დამარცხა კიშინიოვის „დინამო“.

□ **ციგურები.** 21-22 თებერვალს ნორვეგიის ქალაქ ვიეგეში გაიმართება მსოფლიო პირველობა ქალთა შორის ყინულზე რბოლაში. საბჭოთა გუნდი, რომელსაც სათავეში უდგანან ოლიმპიური ჩემპიონები ტატიანა ავერინა და გალინა სტეპანსკაია, უკვე გაფრინდა ნორვეგიაში.

□

საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი

ქართველი ტექნიკური შემოწმებისათვის

ქალაქ ფრუნზეს № 3 სამგზავრო ავტოსარკეში ავტოტრანსპორტის წლიური ტექნიკური შემოწმების მომწყობი კომისიის წევრები ი. სერგეევი, გ. მატიუშენკო, პ. პროსვირინი, ხ. ჯაფარყულოვი გაურიგდნენ ავტოკოლონების უფროსებს და ქართველებს იღებდნენ მძღოლებისაგან. ისინი უხეშად არღვევდნენ ავტომობილების, მოტოციკლებისა და მისაბმელების სახელმწიფო პერიოდული შემოწმების მოწყობის დამტკიცებულ წესებს და სწორ დასკვნებს არ იძლეოდნენ ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. ზოგიერთი მანქანა საერთოდ არ შეუმოწმებიათ, მაგრამ ისინიც გამართულად ცნეს. აღნიშნულს ამის შესახებ კომისიის წევრები ტექნიკური შემოწმების ბარათებში წერდნენ და ყოველი ასეთი „ოპერაციისათვის“ მოფრენისაგან ქართველს იღებდნენ.

ყირგიზეთის სსრ უმაღლესმა სასამართლომ მეკრთამეებს სხვადასხვა ვადის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განიხილა რა საქმე ზედამხედველობის წესით, სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ სასჯელები არ დაკმაყოფილა. (საკ. კორ.).

ეკონომია

გუშინ 13 საათისათვის თოვდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, სხვაგან ძლიანი ამინდი იდგა. ტემპერატურა ბაოში 5-7 გრადუსი სითბო აღინიშნა, მთაში — 0-5 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იყო, ხოლო ზიდა ქართლის ზოგიერთ რაიონში თოვდა. თერმომეტრი როგორც ბარში, ისე მთაში ხულს ქვემოთ უჩვენებდა, შესაბამისად 1-4 და 6-8 გრადუსს.

თბილისში გუშინ 13 საათისათვის ნისლი იყო, ტემპერატურა — ერთი გრადუსი ყინვა.

დღეს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია ნალექი. კოლხეთის დაბლობში იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში. ტემპერატურა ბარში 4-9 გრადუსი სითბო, ხოლო მთაში 0-3 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია. მოსალოდნელი. კახეთის რაიონებში მცირე თოვა იქნება. ტემპერატურა ბარში 3 გრადუსი ყინვა—2 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი, მთაში კი — 8-13 გრადუსი ყინვა.

თბილისში უნალექო ამინდს ვარაუდობენ, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა 0 გრადუსი იქნება.

გუშინ საქართველოში ყველაზე დაბალი ტემპერატურა — 8 გრადუსი ყინვა ახალქალაქში აღინიშნა, ბაგრატში კი 7 გრადუსი სითბო იყო.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

ჩვენი ცხოვრიბა

სსრკ მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო იუწყება

უველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაცია, კოლმეურნეობა, სამკოთა მეურნეობა, საწარმო, დაწესებულება, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საპროექტო-საკონსტრუქტორო პიურო ახალი სამეურნეო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ზემდგომ ორგანოთა დადგენილებების შესრულების მიზნითა და განზომილებათა ერთიანობლიობისა და საზუსტის უზრუნველყოფის მიზნით ვალდებულია სახელმწიფო შემოწმებასა და დადაღვაზე წარადგინოს ვადაგასული დაღისა და მოწმოიების მქონე გამზომი საშუალებები (ზომები და გამზომი ხელსაწყოები, გამზომი გარდამქმნელები, გამზომი დანადგარები, გამზომი სისტემები).

აღრიცხვის, მომმსარებლებთან ანგარიშსწორების, კანონმდებლობის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის. უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული გამზომი საშუალებები (მექანიკური, კუთხურ-ხაზობრივი ვ.ი, თერმოტექნიკური, ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური, ფიზიკურ-ქიმიური და დოზიმეტრიული) სახელმწიფო შემოწმებაზე წარმოდგენილ უნდა იქნას სსრ სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენებული გაზომი ხელსაწყოები საჭიროებს ზედამხედველობის ზუსტ ორგანიზაციას.

სახელმწიფო სტანდარტი 8.002-71 „განზომილებათა ერთიანობის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა. გაზომილების საშუალებათა შემოწმების, რევიზიისა და ექსპერტიზის ორგანიზაცია და ჩატარების წესის“ თანახმად დადგენილია საწონი ხელსაწყოების, ხავთობის პროდუქტების, რძის, ღვინისა და ღვინის მასალის ავტოცისტერნების შემოწმების ვადა — წელიწადში ერთხელ.

რკინიგზისა და ავტომობილის მასზე მიწერილი რომელიმე სხვა უწყების მიერ სასურსათო ტვირთის დატვირთვა-განტვირთვისას გამოყენებული სასწორები, აგრეთვე ხოლოკომბინატებში, მაცივრებსა და განმანაყოლებელ ბაზებში ხორცისა და ხორცის პროდუქტების ასაწონად ხმარებული სასწორები და საწონები უნდა მოწმდებოდეს არანაკლებ ვიდრე 6 თვეში ერთხელ.

გამზომი საშუალებების მდგომარეობასა და გამართულობაზე ჩატარებული გაზომვების სიზუსტეზე, აგრეთვე უწყებრივი მეტროლოგიური ზედამხედველობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ამ სამუშაოთა შესასრულებლად საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი.

გამზომ საშუალებათა მეტროლოგიური მომსახურების ძიზნით საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა შეადგინონ გამზომი და გამოსაცდელი ტექნიკის, სახელმწიფო და უწყებრივი შემოწმების წლიური კალენდარული გრაფიკები.

გრაფიკები მტკიცდება საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთობლივად. განზომილების საშუალებათა ექსპლოატაციისა და ეფექტიანობის მთი პერიოდული შემოწმება წარმოებს გახსაზღვრული ინტერვალების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს საზომ საშუალებათა გამართულობას გასიხჯვის პერიოდების ძორის.

გამზომი საშუალებები, რომლებიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტების და ინსტრუქციების მოთხოვნებს, სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად არ დაიშვება.

უვარგისი ხელსაწყოები (არაზუსტი მარეგულირებლებით, დაზიანებული, ჭუჭყიანი) დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული ხმარებიდან, მიუხედავად მასზე დასმული ღაღისა, თარიღისა და ჩაბარდეს სარემონტო სახელოსნოს შესაკეთებლად.

განზომილების საშუალებათა სახელმწიფო შემოწმება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში წარმოებს სსსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ლაბორატორიების მიერ გახსნილ დროებით განყოფილებებში.

ქ. თბილისისათვის 1976 წლის 1 იანვრიდან დადგენილია სახელმწიფო შემოწმებაზე განზომილებია საშუალებათა წარდგენის შემდეგი ვადები:

კალინინისა და პირველი მაისის რაიონები — 15 III-მდე;
ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონები — 15 IV-მდე;
ოქტომბრისა და კიროვის რაიონები — 15 VI-მდე.
26 კომისრისა და საქარხნო რაიონები — 15 VII-მდე.

სსრკ სახსტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სტანდარტებსა და გამზომ ტექნიკაზე სახელმწიფო მეთვალყურეობის ლაბორატორიებისა და სარაიონთაშორისო განყოფილებების მიერ გაიხსნება დროებითი განყოფილებები შემდეგ რაიონებში:

აფხაზეთის სტანდარტებსა და გამზომ ტექნიკაზე სახელმწიფო მეთვალყურეობის ლაბორატორიის მიერ:

ქ. სოხუმისათვის — წლის განმავლობაში,
სოხუმის რაიონი — I კვარტალი;
გულრიფშის რაიონი—I კვარტალი;
გაგრის რაიონი — II კვარტალი;
გუდაუთის რაიონი — III კვარტალი;
ზუგდიდის რაიონი — II კვარტალი;
ოჩამჩირის რაიონი — III კვარტალი;
წალენჯიხის რაიონი — III კვარტალი;
გალის რაიონი — III კვარტალი;
ხობის რაიონი — IV კვარტალი;
ჩხოროწყუს რაიონი — IV კვარტალი;



აჭარის სტანდარტებსა და გამზომ ტექნიკაზე სახელმწიფო მეთვალყურეობის ლაბორატორიის მიერ:

ქ. ბათუმისათვის წლის განმავლობაში;
ლანჩხუთის რაიონი — გამოძახებით;
ჩოხატაურის რაიონი — გამოძახებით;
მახარაძის რაიონი — II კვარტალი;
ქ. ფოთი — IV კვარტალი;
ქობულეთის რაიონი — გამოძახებით;
შუახევის რაიონი — გამოძახებით;
ქედის რაიონი — გამოძახებით;
ხელვაჩაურის რაიონი — წლის განმავლობაში.

ქუთაისის სტანდარტებსა და გამზომ ტექნიკაზე სახელმწიფო მეთვალყურეობის ლაბორატორიის მიერ:

ქ. ქუთაისისათვის — წლის განმავლობაში;
წყალტუბოს რაიონი — I კვარტალი;
ცხაკაიას რაიონი — I კვარტალი;
ზესტაფონის რაიონი — I კვარტალი;
ქ. ჭიათურა — II კვარტალი;
წულუკიძის რაიონი — I კვარტალი;
გეგეჭკორის რაიონი — II კვარტალი;
თერჯოლის რაიონი — IV კვარტალი;
ამბროლაურის რაიონი — II კვარტალი;
აბაშის რაიონი — III კვარტალი;
ვანის რაიონი — III კვარტალი;
ონის რაიონი — II კვარტალი;
ცაგერის რაიონი — II კვარტალი;
სამტრედიის რაიონი — III კვარტალი;
სენაკის რაიონი — III კვარტალი;
მესტიის რაიონი — II კვარტალი;
ორჯონიკიძის რაიონი — III კვარტალი;
მაიაკოვსკის რაიონი — III კვარტალი;
ლენტეხის რაიონი — II კვარტალი;
ტყიბული — IV კვარტალი;
სამტრედიის ოსეთის — IV კვარტალი.

ცხინვალის სტანდარტებსა და გამზომ ტექნიკაზე სახელმწიფო მეთვალყურეობის ლაბორატორიის მიერ:

ქ. ცხინვალისათვის — I კვარტალი;
ცხინვალის რაიონი — II კვარტალი;
ზნაურის რაიონი — III კვარტალი;
ჯავის რაიონი — II კვარტალი;
ლენინგორის რაიონი — IV კვარტალი;

გორის სარაიონთაშორისო განყოფილება:

ქ. გორისათვის — I კვარტალი;
გორის რაიონი — I კვარტალი;
ქარელის რაიონი — I კვარტალი;
ახალციხის რაიონი — II კვარტალი;
ასპინძის რაიონი — III კვარტალი;
ახალქალაქის რაიონი — II კვარტალი;
ბორჯომის რაიონი — II კვარტალი;
ბოგდანოვკის რაიონი — III კვარტალი;
ხაშურის რაიონი — II კვარტალი;
ადიგენის რაიონი — III კვარტალი;
კასპის რაიონი — I კვარტალი;
მცხეთის რაიონი — I კვარტალი.

გურჯაანის სარაიონთაშორისო განყოფილება:

გურჯაანის რაიონი — I კვარტალი;
სიღნაღის რაიონი — I კვარტალი;
წითელწყაროს რაიონი — I კვარტალი;
თელავის რაიონი — I კვარტალი;
ყვარლის რაიონი — III კვარტალი;
ლაგოდეხის რაიონი — III კვარტალი;
ახმეტის რაიონი — III კვარტალი.

სარაიონთაშორისო განყოფილება:

რუსთავისათვის — წლის განმავლობაში;
მარნეულის რაიონი — I კვარტალი;
წალკის რაიონი — III კვარტალი;
გარდაბნის რაიონი — I კვარტალი;
ბოლნისის რაიონი — II კვარტალი;
თეთრი წყაროს რაიონი — III კვარტალი;
ყაზბეგის რაიონი — II კვარტალი;
დმანისის რაიონი — II კვარტალი;
თიანეთის რაიონი — IV კვარტალი;
დუშეთის რაიონი — III კვარტალი;
საგარეჯოს რაიონი — I კვარტალი.

გამზომი ხელსაწყოები არ შემოწმდება, თუ წინასწარ არ იქნა ბანკში გადარიცხული სათანადო თანხა ხელსაწყოს შემოწმებისათვის საქართველოს სახბანკის კანტორის № 14004 ანგარიშზე.

ცნობები ყველა საკითხზე, რომელიც ეხება გამზომი ხელსაწყოების შემოწმებას, შეიძლება მიიღოთ შემდეგი მისამართით:

თბილისი — 380092 ჩარგლის ქ. № 67, ტელ. 66-71-57, 66-79-78, **ბათუმი** — 384500 შაუმიანის ქ. № 153, ტელ. 33-15, **ქუთაისი** — 384007 გორის 97, ტელ. 6-64-12; **სოხუმი** — 384900 ოქტომბრის, 71/11, ტელ. 2-39-86, **რუსთავი** — 383040 მახარაძის, 4, ტელ. 12-62-57, **გორი** — 383500 მშვიდობის, 11, ტელ. 33-42, **გურჯაანი** — 383300 სოფ. ზემო გურჯაანი, ლენინის ქ. № 29, ტელ. 5-71.

დოზიმეტრიული გამზომი ხელსაწყოები მიიღება მისამართით: თბილისი, ენგელსის ქ. № 30, დოზიმეტრიულ განზომილებათა ლაბორატორია.

საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების სამმართველოში შექმნილია ხელსაწყოს მიმღები ბიურო, რომელიც აწარმოებს ხელსაწყოების მიღებას, შემოწმებას და შემოწმების შემდეგ გაცემას.

შემოწმების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით შემოწმების ბიურო გთავაზობთ სერვისს; საწარმოო-ორგანიზაციებისაგან ხელსაწყოს მიღებას იქვე, წარმოებაში, გადაიტანს შემოწმების ადგილზე და შემოწმების შემდეგ უკან დააბრუნებს თბილისში.

ცნობების მიღება სერვისულ მომსახურებაზე შეიძლება ტელეფონით — 66-24-90.



ბორჯომის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო

ბორჯომის, ხაშურის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის მშრომელებისა და მოსწავლეებისათვის აწყობს მოგზაურობას ტურისტული მატარებლით 21 მარტიდან 3 აპრილამდე შემდეგი სვლაგეზით:

ბორჯომი — ხარკოვი — კიშინიოვი — ოდესა — ევპატორია — ფეოდოსია — ნოვოროსიისკი — კრასნოდარი — ვოლგოგრადი — ბორჯომი.

საგზურის ღირებულება 155 მანეთია.

ღირებულებაში შედის მოგზაურობა ნახევრად რბილ კუპირებულ ვაგონებში, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორნებში და საექსკურსიო მომსახურება თვითეულ ქალაქში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ბორჯომის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს შემდეგი მისამართით: **ქ. ბორჯომი, ვაშლოვანის 50, ტელეფონი 2-21-42.**

წიგნის თარო

სიყვარული სისლის წვიმების დროს

ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობა, კოლეგა-მწვრლები და ლიტერატორა-სპეციალისტები კარგად იცნობენ **გიორგი ციცაშვილს**, როგორც მეცნიერ-ლიტერატურათმცოდნეს, ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსსა და ისტორიკოსს, ამჯერად იგი მკითხველის სამსჯავროზე წარსდგა, როგორც მწერალი-ნოველისტი.

„საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა გიორგი ციცაშვილის ნოველების ერეული კრებული **„სიყვარული სიხსლის წვიმების დროს“** (რედაქტორი ნ. კანდელაკი, მხატვარი ა. თევზაძე, 536 გვ.).

ავტორის ანოტაციაში ვკითხულობთ: ეს წიგნი დიდი სამამულო ომის მძვინვარე დღეებს ეხება. იგი იმ სულიერი ძერების ჩვენებას ცდილობს, რასაც ეს უმაგალითო ომი ადამიანებში იწვევდა: — იმ განცდებისა, რომლებიც ომის მონაწილეებს უჩნდებოდათ, იმ სურვილებისა, რომლებიც მათ ამოძრავებდათ, იმ მიზნებისა, რომლებისკენაც ისინი მიისწრაფოდნენ, იმ გრძნობებისა, რომლებიც მათ გულს ავსებდა.

პრემიერა

„ნათან ბრძენი“

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა პრემიერა. წარმოდგენილ იქნა ლესინგის „ნათან ბრძენი“. სპექტაკლი დადგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჭ. საარბრიუკენის დრამატული თეატრის რეჟისორმა ვერნერ ეკსმუტმა, მხატვრულად გაფორმა ამავე თეატრის მთავარმა მხატვარმა ვალტერ �რაისმ.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები გ. გეგეჭკორი (ნათან ბრძენი), ს. ყანჩელი, გ. საღარაძე, მ. გეგეჭკორი, მსახიობები ი. გიგოშვილი, ზ. თავაძე, მ. ჯანშია, დ. ჩხიკვაძე.

ტელევიზია

19 თებერვალი

პირველი პროგრამით

11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ მეშვიდე სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა, მოსკოვიდან), 17.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 17.35 — განმხადებები, 17.40 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრკ ისტორია, 18.25 — სახალხო კონტროლის ეკრანი, 18.55 — „კაპიტალიზმის საერთო კრიზისი“ (მე-2 გადაცემა), 19.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩვენის ძალა“ (ქართულ ენაზე). 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „მეგობლობის ხვალინდელი დღე“, 20.20 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ყრილობის დელეგატი“, 21.50 — კინოხარკვეი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კინოპანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან),

მეორე პროგრამით

18.05 — რუსული სკოლების მესამეკლასელთათვის — ქართული ენა, 18.35 — გადაცემა „ქალაქი და მხატვარი“, 19.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.50 — დოკუმენტური ფილმი, 21.00 — განცხადებები, 21.05 — მხატვრული ფილმი „რბალი“.

ოდიო

20 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — სიმფონიური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ს. პროკოფიევი. ათი პიესა ფორტეპიანოსათვის, 11.45 — „მოგითხრობთ ყრილობის დელეგატებზე“, 12.15 — მღერის ნ. აბესაძე, 12.25 — „პი